სსიპ ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლა

LEPL Public School #158 of Tbilisi

სსიპ ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლა

დაფინანსების წყარო

სახელმწიფო ბიუჯეტი

შნობის დასრულების სამუშაოები
(CPV კოდი 45400000)

სამედიცინო კაბინეტის რეაბილიტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი 2015 წელი

შენიშვნა:

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებგვერდზე: www.procurement.gov.ge

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება 2011 წლის 7 აპრილის #9 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოცემულია ვებგვერდზე: www.procurement.gov.ge

1. დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;
2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს, საქონლისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
3. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.
4. სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ერთჯერადათ, ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან, 10 დღის ვადაში.
4.1.სამუშაოს დასრულების შესახებ წარმოდგენილი ფორმა #2-ის და ფორმა #3-ის, მას შემდეგ რაც გაფორმდება სამუშაოს დასრულების აქტი, შესაბამისად შესაძლებელია ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს 80%.
5. დარჩენილი 20% ანაზღაურება სსიპ ლევან სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის წარმოდგენიდან არა უმეტეს ხუთი დღის ვადაში. ექსპერტიზის დასკვნის ანაზღაურება ეკისრება შემსყიდველს.
6. მისაწოდებელი სამუშაოს ღირებულების დაფარვა მოხდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და თბილისის #158 საჯარო სკოლას“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.
7. წესის მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის კ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებიდან ამავე მუხლის მ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს, სისტემის მოდულის-„კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.
8. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებამდე, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა ტენდერში წინადადების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის შესაბამისი „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შეიძლება იხელმძღვანელოს დაინტერესებულმა პირმა.
9. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით.
10. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს/დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. რომელიც გაცემული უნდა იყოს **ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** მიერ. რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია განსაზღვროს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.
11.ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს - კარების მოწყობის სამუშაოებზე - 10 წელზე ნაკლები; სარინელის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; სამღებრო სამუშაოებზე - 3 წელზე ნაკლები; ელექტროობის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; იატაკის მოწყობის სამუშაოებზე(პლინტუსის ჩათვლით) - 15 წელზე ნაკლები; სანტექნიკის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; შიდა მოპირკეთების სამუშაობზე - 5 წელზე ნაკლები; ხოლო ყველა სხვა შესასრულებელ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება 3 წლით. საგარანტიო ვადის განმავლობაში,

მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

12. ტენდერი გამოცხადებულია დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

13. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

ნინო ცოტაძე - სკოლის დირექტორის მ/შ;

ტელ:(995 32) 252 46 37 ;

მობილური: 577387637;

სსიპ ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლა (მისამართი: ქ. თბილისი, გოძიაშვილის II შესახვევი №21).

2. ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაცია

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი N 1-ის მიხედვით;

ბ) ხარჯთაღრიცხვა, დეფექტური აქტის მიხედვით;

გ) დ.ღ.გ.-ს გადამხდელად დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

<u>**შენიშვნა:**</u> ***ტენდერის ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს 4771,41 ლარს. დეფექტური აქტი დადებულია დ.ღ.გ.-ს გარეშე და მისი ღირებულება შეადგენს 4043,57 ლარს. პრეტენდენტებმა უნდა ივაჭრონ დ.ღ.გ.-ს გარეშე (დეფექტური აქტის მიხედვით). იმ შემთხვევაში თუ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი წარმოადგენს დ.ღ.გ.-ს გადამხდელის მოწმობას, მის მიერ დაფიქსირებულ ფასს დაემატება დამატებითი ღირებულების გადასახადი.***

<u>**შენიშვნა:**</u> *ხარჯთაღრიცხვა ელექტრონულ სისტემაში შეიძლება აიტვირთოს Exsel-ის ფაილით.*

ტექნიკური დავალება

იხილეთ თანდართული დეფექტური აქტი

შენიშვნა: ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს.

1. სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ერთჯერადათ, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 დღის ვადაში.
2. დაინტერესებულ პირებს, სატენდერო წინადადების წარდგენამდე, შეუძლიათ გაეცნონ ჩასატარებელი სამუშაოების ადგილს.

<u>შენიშვნა:</u> *ტენდერის ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს 4771,41 ლარს. დეფექტური აქტი დადებულია დ.ღ.გ.-ს გარეშე და მისი ღირებულება შეადგენს 4043,57 ლარს. პრეტენდენტებმა უნდა ივაჭრონ დ.ღ.გ.-ს გარეშე (დეფექტური აქტის მიხედვით). იმ შემთხვევაში თუ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი წარმოადგენს დ.ღ.გ.-ს გადამხდელის მოწმობას, მის მიერ დაფიქსირებულ ფასს დაემატება დამატებითი ღირებულების გადასახადი.*

პროექტი

ხელშეკრულება #

ქ. თბილისი `--~ `_____~ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ ქ. თბილისის #158 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") დირექტორის მ/შ ნინო ცოტაძის სახით, და მეორე მხრივ, ----------, (შემდგომში „მიმწოდებელი"), ----------სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის(SPA----------) საშუალებით 4771. 41(ოთხიათასშვიდასსამოცდათერთმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარზე სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით შენობის დასრულების სამუშაოების (CPV45400000) შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო------- (_____) (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები.

3.1სამედიცინო კაბინეტის სარეაბილიტაციო სამუშაოები (CPV45400000) შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში;

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 სამუშაოს საერთო ღირებულებაა ----------.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან დაქირავებული ლ. სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი.

6.სამუშაოს მიწოდების პირობები

6.1. სამუშაოს მიწოდება დაიწყება ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, მიწოდება მოხდება ერთჯერადად;

6.2. სამუშაოს მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში;

6.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ----------;

7. თანმდევი მომსახურება (არსებობის შემთხვევაში)

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს სამუშაოები საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით. მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ხმაური და მტვერი, სამუშაოს დასრულებისთანავე გაანთავისუფლოს სამუშაო არეალი მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების და სამშენებლო ნარჩენებისაგან.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შემსყიდველის მიერ სამუშაოს მიღება წარმოებს ერთჯერადად, სამუშაოს დასრულება დასტურდება სამუშაოს დასრულების შესახებ აქტით და წარმოდგენილი ფორმა #2-ით და ფორმა #3.

9. გარანტია

მოწოდებული სამუშაოს გარანტიის ვადა უნდა გრძელდებოდეს - კარების მოწყობის სამუშაოებზე - 10 წელზე ნაკლები; სარინელის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; სამღებრო სამუშაოებზე - 3 წელზე ნაკლები; ელექტროობის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; იატაკის მოწყობის სამუშაოებზე - 15 წელზე ნაკლები; სანტექნიკის სამუშაოებზე - 5 წელზე ნაკლები; შიდა მოპირკეთების სამუშაობზე - 5 წელზე ნაკლები; ყველა სხვა შესასრულებელ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება 3 წლით.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში განახორციელოს მოწოდებული სამუშაოს და მომსახურების გაწევა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10.2. სამუშაოს დასრულების შემდეგ წარმოდგენილი ფორმა #2-ის და ფორმა #3-ის და სამუშაოს დასრულების შესახებ აქტის გაფორმების შემდეგ, განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 80%-ის ანგარიშსწორება.

10.3. დარჩენილი 20% ანაზღაურდება ლ. სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი აქტის საფუძველზე. იმ რაოდენობით, რაც დაფიქსირებული იქნება ექსპერტიზის აქტში. არაუგვიანეს 5 დღისა.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება სამუშაოს ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში;

11.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული სამუშაოს ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის სამუშაოს მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდაზე;

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

12.2. სამუშაოს მიწოდებისთვის განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების1%-ს.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

13.1არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. ფასების ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონე (არანაკლებ 5%-ით), საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, სავალუტო კურსის მინშვნელოვანი ცვლილება (არანაკლებ ±5%-ით) და სხვა;

13.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემცირება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.

13.5.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.6.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ფორს-მაჟორული სიტუაცია

14.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

14.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

14.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

14.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

14.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

14.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

14.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

14.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

16.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ერთი _ “შემსყიდველთან”.

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**„მიმწოდებელი“**
ქ. თბილისის სსიპ #158 საჯარო სკოლა	
ქ. თბილისი, გოძიაშვილის შესახვევი #21	
ს/კ: 211351589	
ს/ს „ლიბერთი ბანკი“	
ბ/კ: LBRTGE22	
ა/ა GE49LB0121135262222000	
_____	
დირექტორის მ/შ ნინო ცოტაძე	

1. რეკვიზიტები:
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
მომსახურე ბანკი:
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:
სატენდერო წინადადების ფასი _____

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)